საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 06

2020 წ. "24" 02

ქ.თბილისი

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

თავმჯდომარე

მდივანი

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27[5]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 06 აგვისტოს შპს - საქართველოს უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №03-8084 (ცენტრში რეგისტრაციის №1024187, 2019 წლის 07 აგვისტო) სააკრედიტაციო განაცხადი „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 აგვისტოს №727 ბრძანების საფუძველზე, შპს - საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 ოქტომბრის №992 ბრძანებით (ცვლილება - 2019 წლის 24 ოქტომბრის №1004 ბრძანება) შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 30 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - საქართველოს უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 12 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 24 თებერვალი. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) „რეკომენდირებულია, რომ რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს და შემცირდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობა. მაგ: საგანში „ახალი და უახლესი ისტორიის ქართული ისტორიოგრაფია" ძირითადი ლიტერატურის რაოდენობა 35 ერთეულია, ხოლო დამხმარე ლიტერატურის - 80 ერთეული. ამასთან ამ ლიტერატურის დიდი უმრავლესობა არის კონკრეტულ საკითხზე სამეცნიერო მონოგრაფიები და არა სახელმძღვანელოები;

ბ) რიგ სილაბუსებში (HIST5250 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორია"; HIST6110 „ქართული სამართლის ძეგლები და პოლიტიკური ინსტიტუტების ისტორია საქართველოში"; HIST5111 „შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია"; HIST5231 „ანტიკური და შუა საუკუნეების უცხოენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ"; HIST6151 „ქართველთა ცხოვრება - ისტორიული ანალიზი"; HIST5221 „ახალი ისტორიის უცხოენოვანი წყაროები საქართველოს შესახებ"; თითო სალექციო თემაზე სტუდენტს ეძლევა 100-150 გვ.-ის წაკითხვის მითითება კვირაში. იმის გათვალისწინებით, რომ სილაბუსის თანახმად დამოუკიდებელი მუშაობისთვის ამ საგნებში კვირაში 7 საათია განსაზღვრული. საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტისთვის ამ დროში 100/150 გვერდი სხვადასხვა წიგნებში გაფანტული სასწავლო მასალის დამუშავება და სწავლა ნაკლებად რეალურია. სასწავლო მასალის ჭარბი მოცულობის შესახებ თავად სტუდენტებიც მიუთითებენ გამოკითხვაში და სასწავლო მასალის მოცულობის შემცირებას და სასწავლო მასალის ერთ წიგნად აკინძვას ითხოვენ.".

2.7. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) „პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: „საქართველოს ისტორიის მაგისტრი (0222)";

ბ) „სასწავლო კურსის HIST5241 „ახალი და უახლესი ისტორიის ქართული ისტორიოგრაფია" სათაური მოითხოვს დაზუსტებას, კერძოდ ამ საგნის სათაური უნდა იყოს „ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების ისტორია (XVIII-XXI სს);

გ) ზოგიერთ კურსს კითხულობს სპეციალისტი, რომელსაც არ აქვს სამეცნიერო შრომები მოცემულ პერიოდზე. მაგ: სასწავლო კურსს - HIST5230 „საქართველოს უახლესი ისტორია (დემოკრატიული რესპუბლიკიდან თანამედროვე საქართველომდე)" კითხულობს მედიევისტი. ამიტომაც პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგი აღნიშნული სასწავლო კურსის წასაკითხად. სასწავლო კურსის „საქართველოს უახლესი ისტორია (დემოკრატიული რესპუბლიკიდან თანამედროვე საქართველომდე)" სილაბუსი მოითხოვს გადამუშავებას, კერძოდ სასწავლო თემატიკა უნდა განაწილდეს პროპორციულად კვირების მიხედვით (მოქმედი სილაბუსით 1-9 სალექციო კვირა ეძღვნება

თავმჯდომარე

მდივანი

1917-1924 წლების ისტორიას, ხოლო 10-12 სალექციო კვირა - 1924-1985 წლებს) და საფუძვლიანად განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა, რომლის ძირითადი ნაწილი მოძველებულია.".

2.8. საბჭომ მიიჩნია, რომ შპს - საქართველოს უნივერსიტეტს დამატებით უნდა მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მასში ჩართული აკადემიური პერსონალის მეტი დივერსიფიცირება სასწავლო სამეცნიერო საქმიანობაში;

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე მოხდეს სასწავლო პროგრამის დაბალანსება საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებით;

გ) სავალდებულო საგნად დაემატოს აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები;

დ) შეძლებისდაგვარად გადაიხედოს საგნების სავალდებულო ლიტერატურისა და ასათვისებელი მასალის მოცულობა ოპტიმიზაციის მიზნით.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3, მე-5 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - საქართველოს უნივერსიტეტის 2019 წლის 06 აგვისტოს №03-8084 (ცენტრში რეგისტრაციის №1024187, 2019 წლის 07 აგვისტო) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის №02 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა/დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) „პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: „საქართველოს ისტორიის მაგისტრი (0222)";

ბ) სასწავლო კურსის HIST5241 „ახალი და უახლესი ისტორიის ქართული ისტორიოგრაფია" სათაური მოითხოვს დაზუსტებას, კერძოდ ამ საგნის სათაური უნდა იყოს „ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების ისტორია (XVIII-XXI სს);

გ) ზოგიერთ კურსს კითხულობს სპეციალისტი, რომელსაც არ აქვს სამეცნიერო შრომები მოცემულ პერიოდზე. მაგ: სასწავლო კურსს - HIST5230 „საქართველოს უახლესი ისტორია (დემოკრატიული რესპუბლიკიდან თანამედროვე საქართველომდე)" კითხულობს მედიევისტი. ამიტომაც პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგი აღნიშნული სასწავლო კურსის

თავმჯდომარე

მდივანი

წასაკითხად. სასწავლო კურსის „საქართველოს უახლესი ისტორია (დემოკრატიული რესპუბლიკიდან თანამედროვე საქართველომდე)“ სილაბუსი მოითხოვს გადამუშავებას, კერძოდ სასწავლო თემატიკა უნდა განაწილდეს პროპორციულად კვირების მიხედვით (მოქმედი სილაბუსით 1-9 სალექციო კვირა ეძღვნება 1917-1924 წლების ისტორიას, ხოლო 10-12 სალექციო კვირა - 1924-1985 წლებს) და საფუძვლიანად განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა, რომლის ძირითადი ნაწილი მოძველებულია;

დ) საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის მეტი დივერსიფიცირება სასწავლო სამეცნიერო საქმიანობაში;

ე) მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე მოხდეს სასწავლო პროგრამის დაბალანსება საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებით;

ვ) აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების სავალდებულო საგნად დამატება;

ზ) შეძლებისდაგვარად გადაიხედოს საგნების სავალდებულო ლიტერატურისა და ასათვისებელი მასალის მოცულობა ოპტიმიზაციის მიზნით.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე - 2020 წლის 03 სექტემბრამდე.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 02 მარტი.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საქართველოს ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 21 იანვარი, №6
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საქართველოს ისტორიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0222
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0171, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77, IV კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 02 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2020 წლის 03 სექტემბრამდე)
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 02 მარტი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი